ახალი სოფლის ბიბლიოთეკა

ი. სტალინი.

სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის გზა



№ 7

თბილისი
1930 წ.



ბსსრ მეცნიერებათა აკად.
Библиотека-Музей

სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის გზა

სიტყვა წარმოთქმული აგრარულ საკითხებზე მომუშავე მარქსისტთა კონფერენციაზე 1929 წ. 27 დეკემბერს

ამხანაგებო! ამჟამად ჩვენი საზოგადოებრივ - სამეურნეო ცხოვრებაში ძირითადი მოვლენა, რომელიც საყოველთაო ყურადღებას იპყრობს, არის **კოლმეურნეობრივი მოძრაობის ბუმბერაზული ზრდა.** ამ მოძრაობის დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ კოლმეურნეობებში შედიან არა თუ ღარიბი გლეხობის ცალკე ჯგუფები, როგორც ეს დღემდე იყო, არამედ კოლმეურნეობებში შესვლა იწყო საშუალო გლეხობის ძირითადმა მასამაც. ეს იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული მოძრაობა მშრომელი გლეხობის ცალკე ჯგუფებისა და ფენების მოძრაობიდან გადაიქცა გლეხობის მრავალმილიონიანი მასების მოძრაობად. სხვათა შორის, ამით უნდა აიხსნას ის უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა, რომ კოლმეურნეობის მოძრაობამ მიიღო მძლავრი ზვავის ხასიათი, ის რა საკვირველია საეჭვებით კულაკის წინააღმდეგაა მიმართული. ეს მოძრაობა სძლევს თავის გზაზე კულაკის წინააღმდეგობას, უკუაგდებს კულაკებს და გზას უკაფავს ფართო სოციალისტურ მშენებლობას სოფლად.

Y 366

მაგრამ თუ ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკული წარმატებით, არ შეიძლება იგივე ითქვას ჩვენი მეცნიერული მუშაობის წარმატებაზე საერთო ეკონომიკის დარგში და განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობის დარგში. მეტიც უნდა ვაღიაროთ, რომ მეცნიერული აზროვნება ჩამორჩება ჩვენს პრაქტიკულ წარმატებას, რომ არსებობს ერთგვარი უთანაბრობა პრაქტიკულ წარმატებებსა და მეცნიერულ აზროვნების განვითარებას შორის.

ამავე დროს კი საჭიროა, რომ მეცნიერული მუშაობა არა თუ არ ჩამორჩებოდეს პრაქტიკულ მუშაობას, არამედ კიდევაც უსწრებდეს ამ მუშაობას და ჩვენს საქმის ხალხს მათ ბრძოლაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

მე აქ არ გავაგრძელებ სიტყვას მეცნიერების მნიშვნელობის შესახებ. თქვენ ეს საკმაოდ კარგათ მოგეხსენებათ. ისიც მოგეხსენებათ, რომ მეცნიერება თუ იგი ნამდვილი მეცნიერებაა. აძლევს საქმის ხალხს მიმართულების სწორედ არჩევის უნარს. შლის მათ წინაშე მუშაობის მთელ მომავალ სურათს და იმ რწმენას, რომ ჩვენი მუშაობა ფუჭი საქმე არაა, რომ ჩვენი საქმე უსათუოთ გაიმარჯვებს.

ყოველივე ამას აქვს და არც შეიძლება არ ჰქონდეს უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი სოციალისტური მშენებლობის საქმეში.

უბედურება ის არის, რომ ჩვენ მოვიკოჭლებთ სწორედ ამ დარგში, ჩვენი დღევანდელი ეკონომიური ვითარება ჯერ კიდევ არა გვაქვს ხელრიანად მეცნიერულად დამუშავებული. აბა, სხვანაირად რით ავსხნათ ის გარემოება, რომ ჩვენს საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში ჯერ კიდევ გასავალი აქვს სხვადასხვა ბურჟუაზიულ და წვრილ-ბურჟუაზიულ მოძღვრებას ჩვენი ეკონომიკის შესახებ?

რით უნდა ავხსნათ, რომ ამ თეორიებს დღემდე ისეთი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს, როგორც ამას საჭიროება მოითხოვს?

რით უნდა აიხსნას, რომ დავიწყებას ეძლევა, მარქსისტულ - ლენინური პოლიტიკური ეკონომიის მთელი

რიგი ძირითადი დებულებანი, რომელთა საშუალებითაც ჩინებულად შეიძლება ბურჟუაზიული და წვრილ-ბურჟუაზიულ მოძღვრებათა დარღვევა და გაბათილება?

განა ძნელია იმის გაგება, რომ თუ ჩვენ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძველზე შეურიგებელი ბრძოლა არ ვაწარმოვეთ, ბურჟუაზიული მოძღვრების დასარღვევათ, შეუძლებელია სრული გამარჯვება კლასობრივ მტრებზე?

ახალი საქმე და გამოცდილება წარმოშობს ახალ მიდგომას გარდამავალი ხანის ეკონომიკის საკითხებისადმი. ახალი სახით ისმება ახლა საკითხი — არა ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ, **არამედ კლასებისა და მშენებლობის სიჩქარის შესახებ, მუშათა კლასის და გლეხობის დაკავშირებისა და პარტიის პოლიტიკის შესახებ.**

პრაქტიკას რომ არ ჩამორჩეთ, ახლავე უნდა შევუდგეთ ყველა ამ საკითხების და ამოცანების დამუშავებას ახალი ვითარების თვალსაზრისით. უამისოთ შეუძლებელია იმ ბურჟუაზიული ცნება - მოძღვრებათა დაძლევა, რომლებითაც ავსილია ჩვენი უშუალოდ საქმიანობაში ჩაბმული ხალხის თავები. უამისოდ შეუძლებელია აღმოვფხვრათ ყალბი აზრები, რომლებიც მტკიცეთ ჩაჭედილია ზოგიერთების თავებში.

მხოლოდ ბურჟუაზიულ ყალბ აზრთან ბრძოლით შეიძლება მივაღწიოთ მარქსიზმ - ლენინიზმის განმტკიცებას.

ნება მიბოძეთ დავახასიათო ზოგიერთი ეს ბურჟუაზიული ყალბი აზრები, რომლებსაც მეცნიერულად დამუშავებულ მოძღვრებას უწოდებენ და დავამტკიცო მათი ძლიერება ჩვენი მშენებლობის ზოგიერთ ძირითად ამოცანების გაშუქების საშუალებით.

ყალბი ცნება „წონა-წონასწორობის“ შესახებ

თქვენ, რასაკვირველია იცით, რომ კომუნისტების შორის ჯერ კიდევ აქვს გასავალი ჩვენი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა ნაწილების შორის ეგრეთ წოდებულ „წონასწორობის“ ცნებას. ამ ცნებას, რასაკვირველია, არაფერი საერთო არა აქვს მარქსიზმთან. მაგრამ ამ ყალბ დებულებას ერთობ გულმოდგინეთ აღიარებენ და ავრცელებენ მთელი რიგი ჩვენი ამხანაგები მემარჯვენეთა ბანაკიდან.

ამ ცნების მიხედვით იგულისხმება, რომ ჩვენ სახალხო მეურნეობაში პირველყოვლისა გვაქვს **სოციალისტური ნაწილი, ეს თავისებური ყუთია** და გარდა ამისა, გვაქვს არა სოციალისტური ნაწილი, ესე იგი **კაპიტალისტური — ეს კიდევ მეორე ყუთია.**

ეს ორივე ყუთი დადგმულია სხვადასხვა რელსებზე. ისინი მშვიდობიანათ მისრიალებენ წინ, არ ეხებიან ერთმანეთს, გეომეტრიიდან ვიცით (გეომეტრია არის ისეთი მეცნიერება, რომელიც იკვლევს სივრცეთა გაზომის კანონს), რომ პარალელური (პარალელური ხაზები, ისეთი ხაზებია, რომლებიც მთელ თავის სიგრძეზე თანასწორად არიან ერთმანეთისაგან დაშორებული) ხაზები არ ერთდებიან. მაგრამ ამ შესანიშნავი მოძღვრების მომხრენი ფიქრობენ, რომ ოდესმე ეს პარალელური ხაზები შეერთდებიან და მაშინ ჩვენ მივიღებთ სოციალიზმს. ამ ცნების მომხრეებს ავიწყდებათ, რომ ეგრეთ წოდებულ „ყუთების“ მოძრაობა კი ხდება გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში, სამკვდრო - სასიცოცხლო ბრძოლის პირობებში, იმ ანგარიშით თუ ვინ ვის — აჯობებს. ადვილი გასაგებია, რომ **ეს ცნება ბოლოს და ბოლოს მიზნათ ისახავს გლეხური მეურნეობის დაცვას და კულაკების შეიარაღებას ახალი მეცნიერული იარაღით, მათ ბრძოლაში კოლმეურნეობების წინააღმდეგ და კოლმეურნეობათა სახელის გატეხას.**

ამ მოძღვრებას დღემდე აქვს გასავალი ჩვენს გაზეთებშიაც და არ შეიძლება ითქვას, რომ ამ მოძღვრებას სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდენ

ჩვენი მეცნიერული ცოდნით შეიარაღებული ამხანაგები.

სხვაფრივ რით უნდა ავხსნათ ეს შეუსაბამობა თუ არა ჩვენი აზროვნების ჩამორჩენილობით? ამავე დროს საკმაო იყო მხოლოდ მარქსიზმის საკანძურიდან ამოგველო **რეპროდუქციის ცნება** (რეპროდუქციის—ხელახალი აღდგენის ცნება შეიცავს შემდეგ დებულებას: ყოველი წარმოება, რომელიც საჭიროებს განსაზღვრული რაოდენობის მასალას, ფულს, სხვადასხვა ხარჯებს, — ყოველივე ამას აბრუნებს უკან ნაწარმოების სახით) და დაგვეპირისპირებია იგი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა ნაწილების წონასწორობის ცნებისათვის.

მართლაც რეპროდუქციის მარქსისტული ცნება გვასწავლის, რომ თანამედროვე საზოგადოებას არ შეუძლია განვითარება წლიდან - წლამდე დაგროვების გარეშე, დაგროვება კი შეუძლებელია წლიდან - წლამდე გაფართოებული რეპროდუქციის გარეშე.

ეს ნათელია და გასაგებია.

ჩვენი მსხვილი ცენტრალისტური საფუძვლებზე მოწყობილი სოციალისტური მრეწველობა ვითადრება გაფართოებული რესპროდუქციის მარქსისტული თეორიის მიხედვით, ვინაიდან იგი იზრდება ყოველწლიურად, თავის მოცულობაში აქვს საკუთარი ღაგროვებანი და დევის ნაბიჯებით მიდის წინ. მაგრამ ჩვენი მსხვილი მრწველობა არ არის მთელი სახალხო მეურნეობა. პირიქით, ჩვენს სახალხო მეურნეობაში ჯერ კიდევ სჭარბობს წვრილი გლეხური მეურნეობა.

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ წვრილი გლეხური მეურნეობა გაფართოებული რეპროდუქციის კანონის მიხედვით ვითარდება?

არ შეიძლება ეს ითქვას.

ჩვენი წვრილი გლეხური მეურნეობა არა თუ არ ანხორციელებს ყოველწლიურ გაფართოებულ რეპროდუქციას, არამედ, **პირიქით, მას ყოველთვის თვით უბრალო რეპროდუქციის განხორციელებაც კი არა აქვს.**

შეიძლება თუ არა შემდეგში დაჩქარებით წავსწიოთ წინ ჩვენი სოციალისტური ინდუსტრია, როცა გვაქვს ისეთი სასოფლო-სამეურნეო საძირკველი, რო გორიც არის წვრილი გლეხური მეურნეობა, რომელსაც არა აქვს გაფართოებული რეპროდუქციის უნარი და ამავე დროს წარმოადგენს უმთავრეს ძალას ჩვენს სახალხო მეურნეობაში?

არა, არ შეიძლება.

შეიძლება თუ არა მახლობელ დროის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლება და სოციალისტური მშენებლობა დაეყრდნოს ორ სხვადასხვა საფუძველს, **მსხვილი და გაერთიანებული სოციალისტური მრეწველობის საფუძველს და ყველაზე უფრო დაქსაქსული და ჩამორჩენილი წვრილი გლეხური მეურნეობის საფუძველს?**

არა, არ შეიძლება. ეს ოდესმე მთელი სახალხო მეურნეობის სრული მოშლით დასრულდება.

გამოსავალი ფმაშია, რომ **გავამსხვილოთ სასოფლო მეურნეობა, მივცეთ მას დაგროვების გაფართოვებული რეპროდუქციის უნარი** და ამრიგათ სახალხო მეურნეობის სასოფლო-სამეურნეო საძირკველს სულ სხვა დასაყრდნობი ამოუშენოთ.

მაგრამ როგორ გავამსხვილოთ სოფლის მეურნეობა?

ამისათვის არსებობს **ორი გზა.**

არსებობს **კაპიტალისტური გზა,** რომელიც მდგომარეობს სოფლის მეურნეობის გამსხვილებაში კაპიტალიზმის დანერგვის გზით. **ეს ის გზაა, რომელსაც მივყევართ გლეხობის გაღატაკებისა და სასოფლო მეურნეობაში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებისაკენ.** ეს გზა უარყოფილია ჩვენს მიერ, როგორც საბჭოთა მეურნეობასთან შეუთავსებელი გზა.

არსებობს აგრეთვე **მეორე გზა,** რომელიც მდგომარეობს კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობაში სოფლად.

ეს ის გზაა, რომელსაც მივყევართ წვრილ გლეხურ მეურნეობათა გაერთიანებისაკენ ტეხნიკითა და მეცნიერებით შეიარაღებულ მსხვილ კოლექტიურ მშენებლობაში და კაპიტალისტურ ნაშთების აღმოფხვრისაკენ მიწად მოქმედებიდან.

ჩვენ ამ მეორე გზას ვუჭერთ მხარს. ან ერთი გზა ან მეორე. ან უკან კაპიტალიზმისაკენ—ან წინ—სოციალიზმისაკენ.

არავითარი მესამე გზა არ არსებობს და არც შეიძლება იყოს.

„წონასწორობის“ ცნება წარმოადგენს მესამე გზის დასახეის ცდას. სწორედ იმიტომ, რომ იგი ითვალისწინებს მესამე გზას, რომელიც სრულებითაც არ არსებობს, იგი უნიადაგოა და არამარქსისტულია. აი ამიტომ საკმაო იყო მხოლოდ მარქსის რეპროდუქციის ცნების დაპირისპირება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა ნაწილების „წონასწორობის“ ცნებისათვის, რომ ნამანწყალი არ დარჩენილიყო ამ უკანასკნელი ცნებიდან.

რატომ ამას ვერვხედავთ ჩვენი მარქსისტების იმ ნაწილისაგან, რომელიც სოფლის მეურნეობის საკითხებს იკვლევს და სწავლობს? ვისთვის არის ეს საჭირო, რომ „წონასწორობის“ უსუსურ აზრებს გასავალი ჰქონდეს ჩვენს გაზეთებში, რეპროდუქციის მარქსისტული თეორია (ცნება) კი დავიწყებული იყოს?

ქალბი აზრი თავისთავად განვითარების შესახებ სოც. აღმშენებლობაში

გადავიდეთ მეორე ყალბ აზრზე. ეს პირწმინდათ ნამდვილი ბურჟუაზიული ცნებაა. მე ვგულისხმობ ეგრეთწოდებულ სოციალისტურ მშენებლობაში **„თავის თავათ განვითარების“** დებულებას, რომელსაც არაფერი აქვს საერთო მარქსიზმთან. მაგრამ მას გულდასმით ქადაგებენ ჩვენი ამხანაგები მემარჯვენე ბანაკიდან.

ამ ახირებული აზრის მიმდევრები მემარჯვენე ბანაკიდან ამტკიცებენ შემდეგს: ჩვენ გვქონდა კაპიტალიზმი და ინდუსტრია ვითარდებოდა კაპიტალისტურ საძირკველზე. სოფელი კი თავის თავათ მიჰყვებოდა კაპიტალისტურ ქალაქს, იცვლიდა თავის სახეს კაპიტალისტური ქალაქის მსგავსათ.

თუ ეს ასე ხდებოდა კაპიტალიზმის დროს, რატომ არ შეიძლება იგივე მოხდეს საბჭოთა მეურნეობის დროსაც, რატომ არ შეუძლია სოფელს—წვრილ ბურჟუაზიულ მეურნეობას თავისთავათ გაჰყვეს სოციალისტურ ქალაქს, თავისდაუნებურად გარდაქმნას სოციალისტური ქალაქის ბუნების მსგავსათ?

ამ აზრის მომხრეები ამტკიცებენ, რომ სოფელს შეუძლია თავისთავად გაჰყვეს უკან ქალაქს.

აქედან იბადება კითხვა: ღირს კი თავის ტეხა საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობების შექმნაზე, ღირს კი შუბების მტვრევა, თუ სოფელს ისედაც შეუძლია გაჰყვეს სოციალისტურ ქალაქს?

აი ერთი ცნება, რომელიც ნებსით თუ უნებლიეთ მიზნათ ისახავს ახალი იარაღით აღჭურვოს სოფლის კაპიტალისტური ძალები კოლექტიურ მეურნეობათა წინააღმდეგ.

კაპიტალიზმის დროს სოფელი მართალია მისდევდა ქალაქს იმიტომ, რომ ქალაქის კაპიტალისტური მეურნეობა და გლეხის წვრილი მეურნეობა თავისი საფუძველით ერთი და იგივე სახის მეურნეობას წარმოადგენს. რა თქმა უნდა, წვრილი გლხეური მეურნეობა ჯერ კიდევ არ არის კაპიტალისტური მეურნეობა, მაგრამ იგი თავისი საფუძვლით იმავე ხასიათისაა, როგორც კაპიტალისტური. რადგან ემყარება წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებას. ლენინი ათასჯერ მართალია, როდესაც თავის შენიშვნებში ბუხარინის წიგნაკის —„გარდამავალი ხანის ეკონომიკის შესახებ“ ლაპარაკობს: „გლეხობის კაპიტალისტურ მიდრეკილების შესახებ, **რომელიც მიმართულია წინააღმდეგ**

„პროლეტარიატის სოციალისტური მიდრეკილებისა“.

სწორედ ამით აიხსნება ის, რომ **„წვრილი წარმოება შობს კაპიტალიზმს და ბურჟუაზიას მუდმივ, ყოველდღიურად, ყოველ საათში“** ასე ამბობდა ლენინი.

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ წვრილი გლეხური მეურნეობა თავისი საფუძვლით იმავე სახისაა, როგორც ქალაქის სოციალისტური წარმოება?

რასაკვირველია არ შეიძლება ამის თქმა, თუ მარქსიზმთან კავშირის გაწყვეტა არ გვინდა. ასე რომ არ იყოს ლენინი არ იტყოდა, რომ: **სანამ ჩვენ წვრილ გლეხურ ქვეყანაში ვცხოვრობთ, რუსეთში კაპიტალიზმისათვის უფრო მტკიცე ნიადაგია, ვიდრე კომუნიზმისათვის?“**-ო.

მაშასადამე, წვრილი გლეხური სოფელი, რომ სოციალისტურ ქალაქს გაჰყვეს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, **საჭიროა კიდევ სოფლად მსხვილი სოციალისტური მეურნეობების შექმნა საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობათა სახით**, რომლებიც იქნებიან იმავე დროს სოციალიზმის საფუძველი და შესძლებენ სოციალისტური ქალაქის მეთაურობით გაიყოლიონ უკან გლეხობის ძირითადი მასები. ეს აშკარა და ნათელია.

ყალბი აზრი წვრილ გლეხური მეურნეობის „სიმტკიცის“ შესახებ

გადავიდეთ ბურჟუაზიულ მესამე ყალბი აზრის განხილვაზე. დავიდი და ჰერცის *) მსგავსი სოციალ-დემოკრატები ქადაგებდენ და სცდილობდენ იმ გარემოებას „დაყრდნობოდენ“, რომ წვრილი გლეხი ამტანია, მომთმენია და მზათ არის ყოველგვარ გაჭირვებას გაუძლოს, ოღონდ კი თავისი მიწის ნაკვეთი შეინარჩუნოს და რომ ამიტომ მიწად - მოქმედებაში მსხვილ მეურნეობასთან ბრძოლაში წვრილ გლეხური მეურნეობა სიმტკიცეს იჩენსო. ძნელი არ არის იმის გაგება, რომ ასეთი „სიმტკიცე“ ყოველგვარ ყეყეჩობაზე უარესია. ძნელი არ არის იმის გაგება, რომ ამ მარქსიზმის წინააღმდეგ მიმართულ ცნობას მიზნათ აქვს მხოლოდ ერთი რამ: კაპიტალისტური წესწყობილებისათვის ქება - დიდების შესხმა და თვით კაპიტალიზმის განმტკიცება. სწორედ ამიტომ, რომ ამ აზრის მქადაგებლებს ასეთი მიზანი აქვს, სწორედ ამიტომ მარქსისტებმა შესძლეს ასე ადვილად დაეხარჯებიათ ისინი.

მართლაც რა აკავშირებდა, და მოიაქალშიაც რა დააკავშირებს დასავლეთ ევროპაში წვრილ გლეხს თავის წვრილ მეურნეობასთან?

უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად ის, რომ მას აქვს თავისი საკუთარი ნაკვეთი მიწა, რომ არსებობს კერძო საკუთრება მიწაზე, გლეხს წლობით უგროვებია ფული იმისათვის, რომ ეყიდნა ეს ნაკვეთი მიწა, შეუძენია ეს ნაკვეთი და, გასაგებია, რომ ალარ სურს მოშორდეს მას. იგი ამჯობინებს ყოველგვარი გაჭირვება აიტანოს, იგი ამჯობინებს ოღონდ კი შეინარჩუნოს თავისი ნაკვეთი მიწა — თავისი პირადი, კერძო მეურნეობის საფუძველი.

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ეს გარემოება ასეთი სახით განაგრძობს მოქმედებას ჩვენშიაც, საბჭოთა წესწყობილების პირობებში?

არა, არ შეიძლება ითქვას, ვინაიდან ჩვენში არ არსებობს კერძო საკუთრება მიწაზე და სწორედ იმიტომ რომ ჩვენში არ არსებობს კერძო საკუთრება მიწაზე, ჩვენში არ არის გლეხი. არც ისე მონურად მიჯაჭვული მიწასთან, როგორც ეს დასავლეთ ევროპაშია. ეს გარემოება კი აიძულებს წვრილ - გლეხური მეურნეობის გადასვლას კოლმეურნეობათა ლიანდაგზე.

*) დავიდი და ჰერცი—გერმანელი სოციალ-დემოკრატები.

აი სად არის ერთი მიზეზი იმისა, რომ მსხვილი საბჭოთა მეურნეობანი სოფლად და კოლმეურნეობანი ასე ადვილად ააშკარავებენ, ამჟღავნებენ ჩვენში, სადაც მიწა მხოლოდ მთელი სახელმწიფოს კუთვნილებას შეადგენს, თავიანთ უპირატესობას წვრილი გლეხური მეურნეობასთან შედარებით. აი სად არის უდიდესი რევოლიუციონური მნიშვნელობა საბჭოთა კანონებისა, რომლებმაც მოსპეს, გააუქმეს კერძო საკუთრება მიწაზე და მიწა სახელმწიფოს კუთვნილებათ გამოაცხადეს.

აქედან ის გამომდინარეობს, რომ ჩვენს განკარგულებაში გვაქვს ახალი საბუთი ბურჟუაზიული ეკონომისტების წინააღმდეგ, იმ ეკონომისტების წინააღმდეგ, რომელნიც აცხადებენ, რომ წვრილი გლეხური მეურნეობა სიმტკიცეს იჩენს მსხვილ მეურნეობასთან ბრძოლაშიო.

რატომ საკმაოდ არ იყენებენ ამ ახალ საბუთს სოფლის მეურნეობის საკითხებზე მომუშავე ჩვენი მეცნიერები ბრძოლაში ყველა და ყოველგვარი ბურჟუაზიულ მოძღვრებათა წინააღმდეგ?

თქვენ ალბად გახსოვთ ენგელსის ცნობილი ბროშურა „გლეხთა საკითხის შესახებ". თქვენ, რა თქმა უნდა გახსოვთ, თუ რამდენათ წინდახედულად უდგება ენგელსი საკითხს წვრილი გლეხების გადაყვანის შესახებ სამეურნეო მეურნეობის გზაზე. ნება მიბოძეთ წაგკითხოთ ამონაწერი ენგელსის ამ ბროშურიდან: „ჩვენ გადაჭრით ვუპერთ მხარს წვრილ გლეხობას. ჩვენ გავაკეთებთ ყოველივეს, რაც კი შესაძლებელია, რათა მან უფრო რიგიანათ იცხოვროს, რათა მას გაუადვილდეს ამხანაგობაში შესვლა იმ შემთხვევაში, თუ იგი ამას გადასწყვეტს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ იგი ჯერ კიდევ ვერ შესძლებს მიიღოს ეს გადაწყვეტილება ჩვენ შევეცდებით რაც შეიძლება მეტი დრო მივსცეთ მას მოფიქრებისათვის ამ თავის ნაკვეთზე".

თქვენ ხედავთ, თუ რამდენათ წინდახედულად უდგება ენგელსი საკითხს კერძო, ცალკე გლეხური მეურნეობის გადაყვანის შესახებ კოლექტივიზმის ლიანდაგზე.

რით უნდა ავსხნათ ენგელსის ასეთი, ერთი შეხედვით გადაჭარბებული წინდახედულება?

რას ეყრდნობოდა იგი ამ შემთხვევაში?

როგორც სჩანს, იგი ეყრდნობოდა კერძო საკუთრების არსებობას მიწაზე და იმ გარემოებას, რომ გლეხს აქვს „თავისი ნაკვეთი" მიწა და გაუჭირდება მოშორდეს ამ ნაკვეთს, ასეთია გლეხობა კაპიტალისტურ ქვეყნებში სადაც არსებობა კერძო საკუთრება მიწაზე. გასაგებია, რომ აქ საჭიროა დიდი წინდახედულება.

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ჩვენში, საბჭოთა კავშირში, ასეთი მდგომარეობაა? არა, არ შეიძლება ითქვას, არ შეიძლება, ვინაიდან ჩვენში არ არსებობს კერძო საკუთრება მიწაზე, რომლითაც მიჯაჭვულია გლეხი მის კერძო საკუთარ მეურნეობაზე.

არ შეიძლება, ვინაიდან ჩვენში მიწა სახელმწიფოს ეკუთვნის და კერძო საკუთრება მიწაზე მოსპობილია. ეს რასაკვირველია უადვილებს გლეხს კოლექტივიზმის ლიანდაგზე გადასვლას. აი სად არის ერთი მიზეზი იმისა, რომ ჩვენში ამ ბოლო დროს შედარებით ადვილად და სწრაფად ვითარდება კოლმეურნეობის მოძრაობა.

საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ ყველა ეს საბუთები მთლიანად და სავსებით ეხება კოლმეურნეობებსაც, როგორც მსხვილ სამეურნეო ერთეულებს. მე ვლაპარაკობ არა მარტო განვითარებულ კოლმეურნეობაზე, რომელთაც აქვთ სამანქანო – სატრაქტორო საძირკველი, არამედ პირველად იმ კოლმეურნეობებზედაც, რომლებიც ასე ვსთქვათ, წარმოადგენენ კოლმეურნეობათა მშენებლობის პირველ საფეხურს და რომლებიც ეყრდნობიან გლეხთა იარაღებსა და ხელსაწყოს. მე მხედველობაში მაქვს ის

კოლმეურნეობები, რომლებიც ამჟამად შენდება მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში და რომლებიც ეყრდნობიან გლეხთა საწარმოო იარაღების უბრალო შეერთებას.

ავიღოთ მაგალითად, კოლმეურნეობები ხოპრის რაიონში, ყოფილ დონის ოლქში. ერთი შეხედვით ეს კოლმეურნეობები ტეხნიკის თვალსაზრისით თითქოს არ განსხვავდებიან წვრილ გლეხურ მეურნეობებისაგან (ცოტაა მანქანები, ცოტაა ტრაქტორები). გლეხთა იარაღების უბრალო შეერთებამაც კი კოლმეურნეობათა შიგნით ისეთი შედეგი გამოიღო, რომელზედაც არც კი ოცნებობდენ ჩვენი ამ საქმეში მომუშავე ამხანაგები.

რაში გამოიხატა ეს შედეგები?

იმაში, რომ კოლმეურნეობათა ლიანდაგზე გადასვლამ მოგვცა ნათესების სივრცის გაფართოვება 30-40 და 50 პროცენტით.

რით უნდა აიხსნას ეს „თავბრუდამხვევი" შედეგები? იმით, რომ გლეხები, რომლებიც უძლური იყვნენ კერძო შრომის პირობებში, უდიდეს ძალად გადაიქცენ, როდესაც შეაერთეს თავისი იარაღები და გაერთიანდენ კოლმეურნეობებში. იმით, რომ გლეხებს საშუალება მიეცათ დაამუშაონ მიტოვებული და ყამირი მიწები, რომელთა დამუშავებაც ძნელი იყო ცალ-ცალკე მუშაობის პირობებში, იმით, რომ გლეხებს საშუალება მიეცათ თავის ხელში აეღოთ ყამირი მიწები, იმით, რომ შესაძლებელი გახდა ცარიელი მიწების, ცალკე ნაკვეთების და სხვ. დამუშავება. უყურადღებოდ მიტოვებულ მიწების და ყამირის დამუშავების საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის.

თქვენ იცით, რომ ძველად რუსეთში რევოლიუციონური მოძრაობის ღერძს წარმოადგენდა **მიწის საკითხი**. თქვენ იცით, რომ ამ ნიადაგზე აღმოცენებული მოძრაობა ერთ მთავარ მიზნათ ისახავდა, **მიწის სიმცირის მოსპობას.**

მაშინ ბევრი ფიქრობდა, რომ არ არის მეტი თავისუფალი, დასამუშავებლად გამოსადეგი მიწები.

ნამდვილად კი რა გამოირკვა?

ეხლა ყველასათვის ნათელია, რომ თავისუფალი მიწები საბჭოთა კავშირში ათეული მილიონი ჰექტარი იყო. **მაგრამ გლეხს არავითარი საშუალება არ ქონდა თავისი უვარგისი იარაღებით დაემუშავებია ეს მიწები.** და სწორედ ამიტომ მას საშუალება არ ქონდა დაემუშავებია ყამირი და უყურადღებოდ მიტოვებული მიწები. ამიტომ მიისწრაფოდა ის „რბილ მიწისაკენ", იმ მიწებისაკენ, რომლებიც ეკუთვნოდა მემამულეებს, იმ მიწებისაკენ, რომელთა დამუშავება ადვილი იყო გლეხთა მცირე ძალებით, განკერძოებულ შრომის პირობებში.

ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ჩვენს ხორბლეულობის ტრესტს ეხლა საშუალება აქვს დაამუშაოს ოცი მილიონი ჰექტარი თავისუფალი მიწა, რომელიც დაკავებული არ არის გლეხების მიერ და რომლის დამუშავებაც შეუძლებელია წვრილი გლეხური შრომის პირობებში.

კოლმეურნეობის მოძრაობის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ გლეხს ეხლა საშუალება ეძლევა დაამუშაოს უყურადღებოდ მიტოვებული და ყამირი მიწები. ამაშია ნათესების სივრცის დიდათ გაფართოვების საიდუმლოება გლეხების კოლექტიურ შრომაზე გადასვლის დროს. ამაშია კოლმეურნეობების ერთ-ერთი ძირითადი უპირატესობა, კერძო ცალკე გლეხურ მეურნეობასთან შედარებით. ეჭვს გარეშეა რომ კოლმეურნეობათა უპირატესობა კერძო გლეხურ მეურნეობასთან შედარებით კიდევ უფრო უდავო იქნება, როდესაც კოლმეურნეობებს მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში დაეხმარებიან ჩვენი სამანქანო – სატრაქტორო სადგურები და კოლონები, როდესაც კოლმეურნეობებს საშუალება მიეცემათ თავის ხელში დააგროვონ ტრაქტორები და კომბაინები.

ქალაქი და სოფელი

არსებობს ყალბი აზრი, რომელსაც ავრცელებენ ბურჟუაზიული ეკონომისტები. მას ჩვენ ულმობელი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ ისე, როგორც ყველა სხვა ბურჟუაზიულ ცდებებს, რომელთაც სამწუხაროთ გასავალი აქვს საბჭოთა ჟურნალ - გაზეთებში. მე მხედველობაში მაქვს ის ყალბი აზრი, თითქო ოქტომბრის რევოლიუციამ გლეხობას ნაკლები მისცა, ვიდრე თებერვლის რევოლიუციამ, რომ ოქტომბრის რევოლიუციამ არსებითათ რომ ვსთქვათ, არაფერი მისცა გლეხობას. ამ ყალბ აზრს ერთ დროს ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში ავრცელებდა ერთი „საბჭოთა“ ეკონომისტი. მართალია, მან, ამ „საბჭოთა“ ეკონომისტმა შემდეგში უარი სთქვა ამ თავის აზრზე, მაგრამ ამ ყალბ აზრს ხელი ჩასტაცა ტროცკისტულ - ზინოვიევის ოპოზიციამ და გამოიტანა პარტიის წინააღმდეგ, ამავე დროს არავითარი საფუძველი არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ მას ამჟამად გასავალი არა აქვს „საბჭოთა საზოგადოებრივობის“ წრეებში. იგი ეხება ქალაქისა და სოფლის ურთიერთობის ამოცანას. იგი ეხება ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის მოსპობის ამოცანას. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ღირს ყურადღების შეჩერება ამ უცნაურ აზრზე.

მართალია თუ არა რომ გლეხობას არაფერი მიუღია ოქტომბრის რევოლიუციისაგან?

მივმართოთ ფაქტებს. მე ხელთ მაქვს სტატისტიკოს ნემჩინოვის ცნობილი ცხრილი გამოქვეყნებული ჩემს წერილში „პურის ფრონტზე“. ამ ცხრილიდან სჩანს, რომ რევოლიუციის წინ მემამულეები „ამზადებდენ“ არა ნაკლებ **600 მილიონ ფუთ პურს. კულაკები „ამზადებდენ“ მაშინ ერთ მილიარდსა და 900 მილიონ ფუთ პურს.** ღარიბი და საშუალო გლეხობა კი ამზადებდა **2 მილიარდსა და 500 მილიონ ფუთს.** ასეთია მდგომარეობის სურათი ძველ, ოქტომბრის წინა დროინდელ სოფელში.

რა ცვლილებები მოხდა სოფლად ოქტომბრის შემდეგ? ვიღებ ციფრებს ამავე ცხრილიდან. ავიღოთ მაგალითად 1927 წელი.

რამდენი დაამზადეს ამ წელს მემამულეებმა? **ნათელია რომ არაფერი დაუმზადებიათ და არც შეეძლოდ დაემზადებიათ,** ვინაიდან მემამულეები მოსპო ოქტომბრის რევოლიუციამ. ჩვენთვის ნათელი იქნება, რომ ამ გარემოებას დიდი შემსუბუქება უნდა მიეცა გლეხობისათვის, ვინაიდან გლეხობა განთავისუფლდა მემამულეთა ულლისაგან. ეს რასაკვირველია გლეხობისათვის არის დიდი მოგება. მიღებული ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ.

რამდენი დაამზადეს კულაკებმა 1927 წელს?

600 მილიონი ფუთი პური ნაცვლად 1 მილიარდ 900 მილიონი ფუთისა. მაშასადამე, ოქტომბრის შემდეგ კულაკები სამჯერ მეტად შესუსტდენ. ოქვენ მიხვდებით, რომ ამას არ შეეძლო არ შეემსუბუქებინა ღარიბი და საშუალო გლეხობის მდგომარეობა.

რამდენი დაამზადეს ღარიბმა და საშუალო გლეხებმა 1927 წელს?

ოთხი მილიარდი ფუთი, ნაცვლად 2 ნახევარ მილიარდი ფუთისა. მაშასადამე, ღარიბმა და საშუალო გლეხებმა ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ **ერთი მილიარდ ნახევარი ფუთით მოუმატეს დამზადებას,** ვიდრე ეს რევოლიუციის წინა დროში იყო.

აი ციფრები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ღარიბმა და საშუალო გლეხებმა, ოქტომბრის რევოლიუციისაგან ფრიად დიდი მოგება მიიღეს.

აი რა მისცა ოქტომბრის რევოლიუციამ ღარიბ და საშუალო გლეხებს. როგორ შეიძლება ამის შემდეგ იმის მტკიცება, რომ ოქტომბრის რევოლიუციამ არაფერი მისცა გლეხებს?

შემდეგ, უკანასკნელ დრომდე, გლეხები იძულებული იყვნენ ძველი ხელსაწყოთი და იარაღებით და კერძო შრომის წესით ეჩიჩქნათ მიწა. ყველა-

ათვის ცნობილია, რომ წარმოების ძველი უკვე უვარგისი საშუალებით შეიარაღებული კერძო შრომა არ იძლევა იმ სარგებლობას, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ გლეხმა ხელირიანად იცხოვროს, გააუმჯობესოს თავისი ნივთიერი მდგომარეობა, დაეწაფოს კულტურას, დაადგეს ფართო სოციალისტური მშენებლობის გზას. ახლა კოლმეურნეობრივი მოძრაობის ძლიერი განვითარების შემდეგ, გლეხებს საშუალება აქვთ, შეუერთონ თავიანთი შრომა თავიანთი მეზობლების შრომას, გაერთიანდენ კოლექტიურ მეურნეობაში, მოხნან ყამირი, გამოიყენონ მიტოვებული მიწები, მიიღონ მანქანა და ტრაქტორი და ამით **სამჯერ თუ არა ორჯერ მაინც გაზარდონ თავიანთი შრომის ნაყოფიერება.**

ეს კი რას ნიშნავს?

ეს იმას ნიშნავს, რომ გლეხს ახლა საშუალება აქვს კოლექტიურ მეურნეობაში გაერთიანების გამო ბევრათ მეტი დაამზადოს, ვიდრე წინათ იმდენივე შრომის დახარჯვით ამზადებდა. ეს იმას ნიშნავს, მაშასადამე, რომ პურის წარმოება, ბევრათ უფრო იაფათ შეიძლება დაჯდეს, ვიდრე ეს უკანასკნელ დრომდე იყო. დასასრულ ეს იმას ნიშნას, რომ ფასების უცვლელად დარჩენის პირობებში გლეხს შეუძლია პურში მეტად ბევრი მიიღოს, ვიდრე აქამდე ღებულობდა.

როგორ შეიძლება ყოველივე ამის შემდეგ იმის მტკიცება, რომ ოქტომბრის რევოლიუციამ გლეხობას არ მისცა არავითარი სარგებლობა?

განა ცხადი არ არის, რომ ის ხალხი, რომელიც ასეთ ჭორს ავრცელებს აშკარა სიყალბეს სჩადის პარტიისა და ხელისუფლების მიმართ?

მაგრამ რა გამოდის ყოველი აქედან?

აქედან გამოდის, რომ თუ კოლმეურნეობათა მოძრაობაში ზრდა ახლანდელი სისწრაფით წავიდა, ქალაქისა და სოფლის წარმოების ფასების უთანაბრობა მახლობელ-დროში სრულიად მოისპობა. აქედან გამოდის, რომ ქალაქისა და სოფლის დამოკიდებულების საკითხი ახალ ნიადაგზე დგება, რომ წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის ჩქარა სრულებით წაიშლება. ამ გარემოებას, ამხანაგებო, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი ჩვენი მშენებლობისათვის. იგი ახდენს გლეხის სულიერი განწყობილების გარდაქმნას და აბრუნებს მას პირით ქალაქისაკენ. იგი ქმნის ნიადაგს სოფლისა და ქალაქის წინააღმდეგობის მოსასპობად, იგი ქმნის ნიადაგს იმისათვის, რომ პარტიის ლოზუნგი: „პირი სოფლისაკენ“ შეიცვალოს კოლექტიურ მეურნეობის მუშაკ-გლეხთა ლოზუნგით: „პირი ქალაქისაკენ“. და აქ გასაკვირალიც არაფერია, ვინაიდან გლეხი ახლა ქალაქიდან ღებულობს მანქანას, ტრაქტორს, აგრონომს, ორგანიზატორს და, დასასრულ პირდაპირ დახმარებას კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლაში და კულაკობის დასაძლევათ.

კოლმეურნეობის გუნების შესახებ

კოლმეურნეობები, როგორც მეურნეობის განსაზღვრული სახე, არის სოციალისტურ მეურნეობის ერთი ფორმა. ეს ეჭვს გარეშეა, აქ ერთი ორატორი გამოვიდა და გაილაშქრა კოლმეურნეობათა წინააღმდეგ. ის ამტკიცებდა, რომ კოლმეურნეობებს, როგორც სამეურნეო ორგანიზაციას, არავითარი საერთო არა აქვთ მეურნეობის სოციალისტურ ფორმასთან. მე უნდა განვაცხადო, ამხანაგებო, რომ კოლმეურნეობათა ასეთი დახასიათება სრულიად შემცდარია. ეჭვს გარეშეა, რომ ამ დახასიათებას არავითარი საერთო არა აქვს ლენინიზმთან.

რა განსაზღვრავს მეურნეობის სახეს, მის ხასიათს? აშკარაა, რომ ადამიანების ურთიერთობა წარმოების მსვლელობაში. განა კოლმეურნეობაში არის ნაწილი, რომელსაც ეკუთვნის საწარმოო საშუალებები და არის ნაწილი, რომელიც მოკლებულია ამ სა-

შუალებას? განა კოლმეურნეობაში არის მყვლეფელი და გაყვლეფილი? განა კოლმეურნეობა არ წარმოადგენს წარმოების ძირითად იარაღების განსაზოგადოებას მიწაზე, რომელიც ამავე სახელმწიფოს ეკუთვნის?

რა საბუთია იმის მტკიცებისათვის, რომ კოლმეურნეობა არ წარმოადგენს სოციალისტურ მეურნეობის ერთ-ერთ ფორმას.

რასაკვირველია, კოლმეურნეობაში არის წინააღმდეგობა. რასაკვირველია, კოლმეურნეობაში არის კერძო საკუთრების და კულაკური ნაშთებიც კი, რომელნიც ჯერ არ არიან ჩამოშორებულნი, მაგრამ განა შეიძლება იმის უარისყოფა, რომ კოლმეურნეობები, მთლიანად აღებული, მათი წინააღმდეგობით და ნაკლით, კოლმეურნეობები, როგორც სამეურნეო მოვლენა, საერთოდ, წარმოადგენს ახალ გზას სოფლის განვითარებისათვის, სოფლის სოციალისტურად განვითარების გზას წინააღმდეგ განვითარების კულაკურ და კაპიტალისტურ გზისა?

განა შეიძლება იმის უარყოფა, რომ კოლმეურნეობები (მე ვლაპარაკობ კოლმეურნეობების შესახებ და არა ცრუ კოლმეურნეობებზე) ჩვენს პირობებში წარმოადგენენ სოფლის სოციალისტურ მშენებლობის საძირკველს და კერას, — იმ სოფლის, რომელიც გაიზარდა საშინელ ბრძოლაში კაპიტალისტური ძალების წინააღმდეგ. განა ნათელი არ არის, რომ ზოგიერთი ამხანაგების (და — სახელი გაუტეხონ კოლმეურნეობებს და გამოაცხადონ ისინი მეურნეობის ბურჟუაზიულ ფორმათ — ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია?

1923 წელს ჩვენში ჯერ კიდევ არ ყოფილა კოლმეურნეობათა მასიური მოძრაობა, ლენინს თავის ბროშურაში „კოოპერაციის შესახებ“ მხედველობაში ჰქონდა კოოპერაციის ყველა სახეები, მისი დაბალი ფორმებიც (მიმწოდებელ - გამსაღებელი) და უმაღლესი ფორმები (კოლმეურნეობათა ფორმა). რას ამბობდა მაშინ იგი კოოპერაციისა და კოოპერატიულ წარმოების შესახებ? აი ერთი ამონაწერი ლენინის ბროშურიდან „**კოოპერაციის შესახებ**“:

„ჩვენს არსებულ წესწყობილებაში კოოპერატიული წარმოებები კერძო — კაპიტალისტურ წარმოებისაგან განსხვავდებიან, როგორც კოლექტიური წარმოებები, მაგრამ არ განსხვავდებიან სოციალისტურ წარმოებებისაგან, თუ ისინი დაარსებულნი არიან მიწაზე და წარმოების იმ იარაღებით, რომლებიც ეკუთვნის სახელმწიფოს, ე. ი. მუშათა კლასს“.

მაშასადამე, ლენინი კოოპერატიულ წარმოებებს იღებს არა თავისთავად, არამედ ჩვენს წესწყობილებასთან დაკავშირებით. იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი მოქმედებენ სახელმწიფოს კუთვნილ მიწაზე, ისეთ ქვეყანაში, სადაც წარმოების იარაღები ეკუთვნის სახელმწიფოს და, ამიტომ, ლენინი ამტკიცებს, რომ კოოპერატიული წარმოებები არ განსხვავდებიან სოციალისტურ წარმოებებისაგან, ასე ლაპარაკობდა ლენინი კოოპერატიულ წარმოებების შესახებ საერთოდ. განა აშკარა არ არის, რომ მით უფრო მეტი საფუძველი გვაქვს იგივე ვთქვათ ჩვენი დროის კოლმეურნეობათა შესახებ?

სხვათა შორის, ამით აიხსნება, რომ ლენინი „კოოპერაციის უბრალო ზრდას“ ჩვენს პირობებში „უთანაბრებს სოციალიზმის ზრდას“. თქვენ ხედავთ, რომ კოლმეურნეობებისათვის სახელის გატეხვის დროს აღნიშნულმა ორატორმა დაუშვა უხეში შეცდომა ლენინიზმის მიმართ. ამ შეცდომიდან გამომდინარეობს მეორე შეცდომა კლასობრივი ბრძოლის შესახებ კოლმეურნეობაში. ორატორმა ისე ლამაზად დაახასიათა კლასთა ბრძოლა კოლმეურნეობებში, რომ შეიძლება ვიფიქროთ, თითქოს კლასთა ბრძოლა კოლმეურნეობებში არ განსხვავდება იმ კლასთა ბრძოლისაგანა, რომელიც კოლმეურნეობათა გარეთ სწარმოებს. კიდევ უფრო მეტი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ კლასთა ბრძოლა კოლმეურნეობებში კიდევ უფრო მძაფრად ხდება. მაგრამ მარტო აღნიშნულ ორატორს არ მიუძღვის ბრალი ამ საქმე-

ში. ლაყბობა კლასობრივ ბრძოლის შესახებ, წივილი და წუწუნი კლასთა ბრძოლის შესახებ კოლმეურნეობებში ეხლა წარმოადგენს ყველა ჩვენი „მეშარცხენე“ მყვიოალა ხალხის დამახასიათებელ ნიშანს.

რას ნიშნავს კლასთა ბრძოლა კოლმეურნეობათა გარეშე, კოლმეურნეობების დაარსებამდე?

ეს ნიშნავს ბრძოლას კულაკთან, რომელსაც აქვს საწარმოო იარაღები და საშუალებები, რომელიც იმორჩილებს ღარიბ გლეხებს წარმოების ამ იარაღებისა და საშუალებების მეოხებით. ეს არის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა.

რას ნიშნავს კლასთა ბრძოლა კოლმეურნეობათა საფუძვლებზე?

ეს, უპირველესად ყოვლისა, ნიშნავს იმას, რომ კულაკი დამარცხებულია და მას ჩამორთმეული აქვს წარმოების იარაღი და საშუალებანი.

მეორე: ეს ნიშნავს, რომ ღარიბი და საშუალო გლეხები გაერთიანებულნი არიან კოლმეურნეობებში წარმოების ძირითად იარაღების და საშუალებების განსაზოგადოების საფუძველზე.

და ბოლოს ეს ნიშნავს, რომ საქმე ეხება ბრძოლას კოლმეურნეობათა წევრებს შორის, რომელთაგან ზოგი ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლდა კერძო საკუთრების და კულაკურ სულისკვეთებისაგან.

და ცდილობს თავის სასარგებლოდ გამოიყენოს ერთგვარი უთანასწორობა კოლმეურნეობებში, სხვებს კი სურთ განდევნონ კოლმეურნეობებიდან ეს ნაშთები და ეს უთანასწორობა.

არა, ჯერ კიდევ ბევრი მუშაობაა საჭირო იმისათვის, რომ გარდავქმნათ გლეხი — კოლმეურნეობის წევრი, გამოკაჟწროთ მისი კერძო საკუთრების სულისკვეთება და შევქმნათ მისგან სოციალისტური საზოგადოების ნამდვილი მშრომელი. ეს კი მით უფრო ჩქარა იქნება განხორციელებული, რაც უფრო ჩქარა გავავსებთ კოლმეურნეობებს საწარმოო იარაღებით და მანქანა-ტრაქტორებით და სხვა. მაგრამ ეს სრულებითაც არ ამცირებს კოლმეურნეობების, როგორც სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის საშუალების, უდიდეს მნიშვნელობას.

კოლმეურნეობების უდიდესი მნიშვნელობა სწორედ იმაშია, რომ ისინი წარმოადგენენ ძირითად საფუძველს მანქანების და ტრაქტორების გამოსაყენებლად მიწადმოქმედებაში, რომ ისინი წარმოადგენენ ძირითად დასაყრდენს გლეხის გარდასაქმნელად, მისი სულისკვეთებისა და განწყობილების გარდასაქმნელად პროლეტარული სოციალიზმის მიხედვით.

კლასობრივი გადაჯგუფება და გარდატეხა პარტიის პოლიტიკაში

დაბოლოს, საკითხი კლასობრივი გადაჯგუფებისა და სოციალიზმის შეტევის შესახებ სოფლის კაპიტალისტური ძალების წინააღმდეგ.

ჩვენი მუშაობის დამახასიათებელი ნიშნები უკანასკნელი წლის განმავლობაში მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ, როგორც პარტიამ და, როგორც ხელისუფლებამ:

ა) ფართედ გავშალეთ შეტევა მთელ ფრონტზე სოფლის კაპიტალისტურ ძალების წინააღმდეგ,

ბ) ამ შეტევამ მოგვცა და გვაძლევს, როგორც ცნობილია, მეტად საგრძნობ დადებითს შედეგებს.

რას ნიშნავს ეს?

ეს ნიშნავს, რომ კულაკების სურვილ - მისწრაფებათა შეზღუდვის პოლიტიკიდან, ჩვენ გადავედით კულაკების, როგორც კლასის სრული გაუქმებისა და მოსპობის პოლიტიკაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გადამწყვეტი გარდატეხა მოვახდინოთ და ვახდენთ მთელს ჩვენს პოლიტიკაში.

უკანასკნელ დრომდე პარტია იდგა კულაკების შეზღუდვის ნიადაგზე. ცნობილია, რომ ეს პოლიტიკა მიღებულია ჯერ კიდევ მე-8 ყრილობაზე. ეს პოლიტიკა ხელახლა გამოცხადებული იყო ახალი ეკონომიური პოლი-

ტიკის შემოღების დროს და პარტიის მე-11 ყრილობაზე. ყველას ახსოვს ლენინის ცნობილი წერილი პრეობრაჟენსკისადმი (1922 წ.), სადაც ის უბრუნდება სწორედ ასეთი პოლიტიკის გატარების აუცილებლობის საკითხს. ეს პოლიტიკა დაბოლოს დადასტურებულ იქნა ჩვენი პარტიის მე-15 ყრილობის მიერ, ჩვენ ამას ვანხორციელებდით უკანასკნელ დრომდე.

სწორი იყო, თუ არა ეს პოლიტიკა? დიაღ, ეს უეჭველად სწორი იყო.

შეგვეძლო, თუ არა ჩვენ ხუთი ან სამი წლის წინად დაგვეწყო ასეთი შეტევა კულაკობის წინააღმდეგ? შეგვეძლო თუ არა მაშინ ჩვენ ასეთ შეტევის წარმატების იმედი გვქონოდა? არა, არ შეგვეძლო. ეს იქნებოდა საშიში თავზე ხელაღებულობა, ეს იქნებოდა შეტევის თამაშობა, რადგან ჩვენ უეჭველად ფეხს მოვიტეხდით ამაზე და ამით გავამაგრებდით კულაკების მდგომარეობას. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ გვქონდა ის დასაყრდენი სოფლად საბჭოთა და კოლმეურნეობათა ფართო ქსელის სახით, რომელზედაც შეიძლებოდა დაყრდნობა კულაკების წინააღმდეგ გადამწყვეტ შეტევის დაწყების დროს.

1927 წელს ზინოვიევ - ტროცკისტული ოპოზიცია გაძლიერებით ახვევდა თავს პარტიას კულაკების წინააღმდეგ დაუყოვნებლივი შეტევის დაწყებას. პარტია არ გაჰყვა ამ საშიშ გზას, რადგან მან იცოდა, რომ სერიოზულ ხალხს არ შეუძლია შეტევის თამაშობაში ჩაება.

კულაკებზე შეტევა სერიოზული ყაქმეა. ის არ შეიძლება გავუთამაშოთ კულაკების წინააღმდეგ მიმართულ სიტყვათა ფრქვევას. ის არ შეიძლება აგრეთვე შეურიოთ კულაკების მიმართ რბილად მოპყრობის პოლიტიკას, რომელსაც მეტის მეტი მონდომებით თავზე ახვევდა პარტიას ზინოვიევ-ტროცკისტული ოპოზიცია.

თქვენ თვითონ განსაჯეთ, შეგვეძლო ჩვენ მაშინ კულაკური წარმოება და კულაკის მიერ გასასყიდლად გამოტანილი პურის მაგივრად შეგვეშველებია ჩვენი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობათა პური? ცხადია არა, არ შეგვეძლო. რას ნიშნავს ასეთს პირობებში გადამჭრელი იერიშის მიტანა კულაკებზე? ეს ნიშნავს აუცილებელ დამარცხებას, კულაკებისათვის მათი სამოქმედო ასპარეზის გაფართოებასა და გაძლიერებას და უპუროდ დარჩენას. აი, რატომ არ შეგვეძლო და არც უნდა მოგვეხდინა მაშინ შეტევა კულაკობაზე, თუმცა ამ შეტევას ძალიან გვირჩევდენ ზინოვიევ - ტროცკის ოპოზიციის ბანაკიდან.

როგორი მდგომარეობაა ეხლა?

ეხლა ჩვენ საკმაოთ მაგარი საძირკველი გვაქვს იმისათვის, რომ დავკრათ კულაკობას, გავსტეხოთ მისი წინააღმდეგობა, მოვსპოთ ის, როგორც კლასი და მისი წარმოება შევცვალოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობათა წარმოებით.

როგორც ვიცით, 1929 წელს კოლმეურნეობებში პურის წარმოება შეადგენდა არა ნაკლებ **400 მილიონ ფუთისა** (200 მილიონ ფუთზე ნაკლებს, ვიდრე კულაკური მეურნეობის საერთო წარმოება 1927 წელს), ვიცით აგრეთვე, რომ 1929 წელს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა პური მოგვცეს **130 მილიონ ფუთზე მეტი** (ესე იგი მეტი, ვინემ კულაკმა 1927 წელს). 1930 წელში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პურის საერთო ნაწარმოები იქნება **არა ნაკლები 900 მილიონი ფუთისა** (ესე იგი მეტი, ვინემ კულაკის საერთო ნაწარმოები 1927 წელში), ხოლო **გასაყიდელ პურს ისინი მოგვცემენ არა ნაკლებ 400 მილიონ ფუთისა**, ესე იგი გაცილებით მეტს, ვიდრე კულაკს ჰქონდა 1927 წელს. აი, რანაირია, ამხანაგებო, მდგომარეობა ეხლა.

როგორც ხედავთ, ეხლა ჩვენ გვაქვს საძირკველი იმისათვის, რომ კულაკური წარმოება შევცვალოთ კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების წარმოებით. აი, რატომ არის უეჭველი ეხლა კულაკობაზე შეტევის გამარჯვებით დასრულება

მაგრამ როგორ წავა ეს საქმე. შეიძლება, თუ არა დავუშვათ კულაკობის მოსპობა იმ რაიონებში, სადაც ჩვენ სრულ კოლექტიურ მეურნეობებზე გადავდივართ? ასეთი კითხვები მე სხვადასხვა მხრიდან მესმის. სასაცილო შეკითხვაა. კულაკობის მოსპობა არ იყო დასაშვები სანამ ჩვენ კულაკობის მიდრეკილებათა შეზღუდვის პოლიტიკას ვატარებდით, სანამ საშუალება არ გვქონდა გადავსულიყავით გადამწყვეტ შეტევაზე კულაკობის წინააღმდეგ, სანამ არ შეგვეძლო კულაკური წარმოება შეგვეცვალა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების ნაწარმოებით.

ეხლა ჩვენ საშუალება გვაქვს გადამწყვეტი იერიში მივიტანოთ კულაკობაზე, გავსტეხოთ მისი წინააღმდეგობა, მოვსპოთ ის, როგორც კლასი და მისი წარმოება შევცვალოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებით. ეხლა კულაკობას, როგორც კლასს, სპობს ღარიბი და საშუალო გლეხობა, რომელიც ანხორციელებს სრულს კოლექტივიზაციას.

ეს შეკითხვა იმას ჰგავს, როცა კაცს თავს სჭრიდენ და ის იხვეწებოდა: — „მუწუკი არ მატკინოთო“.

შეიძლება, თუ არა კოლმეურნეობაში კულაკების შეყვანა? ესეც სასაცილო შეკითხვაა. **რასაკვირველია არ შეიძლება.** არ შეიძლება იმიტომ, რომ კულაკი კოლმეურნეობათა დაუძინებელი მტერია. მე მგონია, ეს გასაგებია.

დასკვნები

აი, ამხანაგებო 6 უმთავრესი საკითხი, რომელთაც გვერდს ვერ აუვლის სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე მარქსისტები. ამ საკითხების მნიშვნელობა მდგომარეობს, პირველ ყოვლისა, იმაში, რომ მათი მარქსისტულად დამუშავება საშუალებას გვაძლევს ძირიან – ფესვიანად აღმოვფხვრათ ყველა და ყოველგვარი ბურჟუაზიული ცნებები, რომლებსაც ზოგჯერ ჩვენდა სამარცხვინოთ ავრცელებენ ჩვენივე კომუნისტები და რომლებითაც ივსება საქმეში უშუალოდ ჩაბმული ამხანაგების თავები. ამ ყალბი აზრებისა და შეხედულებათა ძირიანათ ამოთხრა და შორს გადაგდება დიდი ხანია საჭირო იყო, ვინაიდან მხოლოდ დაუზოგავ ბრძოლაში შეიძლება გაძლიერდის და განმტკიცდეს მიწის საკითხისა და სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე მარქსისტ მუშაკების მეცნიერული აზრი. ამ საკითხების მნიშვნელობა, დაბოლოს, მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ახალ ელფერს აძლევენ გარდამავალი ხანის ეკონომიკის ძველ ამოცანებს. ეხლა ახალ ნიადაგზე ისმება საკითხი კლასების, კოლმეურნეობების და გარდამავალი ხანის ეკონომიკის შესახებ.

უნდა ვამხილოთ იმათი შეცდომები, ვისაც ახალი ეკონომიური პოლიტიკა ესმის როგორც უკან დახევა და მხოლოდ უკან დახევა. ნამდვილად კი ლენინი ჯერ კიდევ ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებისას ამბობდა, რომ **ახალი ეკონომიური პოლიტიკა არ არის უბრალო უკან დახევა, რომ ის ამასთანავე ნიშნავს მზადებას ახალ გადამწყვეტი იერიშებისათვის ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტურ ძალებზე.** უნდა გამოვამჟღავნოთ იმათი შეცდომები, ვინც ფიქრობს, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა საჭიროა მხოლოდ ქალაქისა და სოფლის კავშირისათვის, ყოველგვარი კავშირი ჩვენ როდი გვინდა ქალაქსა და სოფლის შორის. **ჩვენ გვინდა ისეთი კავშირი, რომელიც უზრუნველყოფს სოციალიზმის გამარჯვებას.** თუ ჩვენ ვიცავთ ახალ ეკონომიურ პოლიტიკას. ეს იმიტომ, რომ ის სოციალიზმის საქმეს ემსახურება, ხოლო, თუ რომ ის სოციალიზმისათვის გამოუსადეგი გახდება, ჩვენ მას უკუვაგდებთ. ლენინი ამბობდა, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა შემოღებულია სერიოზულად და დიდი ხნითო, მაგრამ მას არასოდეს არ უთქვამს, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა სამუდამოთ არის შემოღებული.

ა 984 ს
1930



სწარმოებს ხელის მოწერა 1930 წლისათვის საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის (ბ) საგლეხო გაზეთი

„ახალი სოფელი“

გამოდის კვირაში ორჯერ: ხუთშაბათობით და კვირაობით

1930 წლის ხელისმომწერნი უფასო დამატებად მიიღებენ ორკვირეულ იუმორისტ. ჟურნალს „შოლტს“

და თვითეულ ორკვირაში ლიტერატურულ დამატებას წიგნაკის სახით

ხელისმოწერის პირობები: ერთი წლით — ორი მანეთი; ექვსი თვით — 1 მან. 20 კაპ.; სამი თვით — 70 კაპ.; ერთი თვით — 30 კაპ.

გაზეთის გამოწერისათვის მიმართეთ სოფლის მასწავლებლებს, ქოხ-სამკითხველოების გამგეებს, გლეხკომების მუშაკებს, გლეხკორებს, კოოპერატიულ მუშაკებს, კოლექტივის ხელმძღვანელებს ან თვით რედაქციას.

გაზეთ „ახალი სოფლის“ გავრცელებაზე გამოცხადებულია შეჯიბრება, რომელშიაც მონაწილეობის მიღების უფლება ყველას აქვს, ვინც გაავრცელებს გაზეთს.

გამავრცელებლებს ჯილდოს გარდა ეძლევათ 10 პროცენტი შეგროვილი თანხიდან.

ხელის მოწერის მასალები: სიები, კვიტრები, მოწოდებები და სხვა, უკვე დაეგზავნათ ჩვენს გამავრცელებლებს. მსურველთ შეუძლიათ დამატებით მოითხოვონ ეს მასალები რედაქციიდან.

ამხანაგებო, გაზეთ „ახალი სოფლის“ მკითხველებო, ხელის მომწერლებო, გლეხკორებო, ქოხ-სამკითხველოს სოფლების, კოოპერატივების, გლეხკომის, საფოსტო განყოფილებების და სხვა სოფლის მუშაკებო, — შეუდექით თქვენი გაზეთის „ახალი სოფლის“ გავრცელებას.

მიიღეთ ზომები, რომ არც ერთი გლეხი არ დარჩეს უგაზეთოთ.

გამოიწვიეთ ერთმანეთი შეჯიბრებაში გაზეთის გავრცელებაზე. ჩვენი გაზეთის ხელის მომწერთა რიცხვმა 100.000-მდე უნდა მიაღწიოს.

რედაქციის და კანტორის მისამართი: ქ. ტფილისი, ვოლოდარსკის ქ. № 13

ტელ. 15—38

„ახალი სოფლის“ კანტორა